

Easter in Georgia

Georgian transcript:

შობის გარდა რომელია კიდე დიდი დღესასწაული საეკლესიო?

შობის გარდა კიდევ ძალიან დიდი საეკლესიო დღესასწაული არის აღდგომა. ზოგადად საქართველოში მოსახლეობის უმეტესობა არის მართლმადიდებელი და ზოგადად ხალხი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკლესიურ ცხოვრებას. აღდგომამდე 40 დღით ადრე იწყება მარხვა და საქართველოში მარხვა იმას ნიშნავს, რომ არ ჭამ არანაირ... არა მარტო ხორცს ანებებ თავს, არამედ ასევე ნებისმიერი ცხოველის პროდუქტს. ანუ, ყველი, რძე... ესეთი არაფრის ჭამა არ შეგიძლია მარხვის დროს. ანუ ხდები ვიგანი მარხვის პერიოდში 40 დღე. დაკავშირებული ტრადიციები არის პასკა და ასევე... პასკა არის სპეციალური ნამცხვარი სააღდგომო, რომელიც არის ხოლმე დაახლოებით ამ სიმაღლე და ამხელა, მარა ნუ სხვადასხვა ზომებს აკეთებენ. ცილინდრის ფორმის არის. პასკაში არის რაღაც სპეციალური სუნელები, ქიშმიშები და არის მართლა უგემრიელესი ნამცხვარი. ვაკეთებთ ამას მარტო სააღდგომოდ. წითელ პარასკევს ვღებავთ მოხარშულ კვერცხებს წითლად. ესეთი ტრადიცია გვაქვს, რომ ერთ კვერცხს იჭერ და შენი მეგობარი ან ოჯახის წევრი თავის კვერცხს არტყავს და რომელსაც გაუტყდება კვერცხი ის აგებს ესე იგი, ანუ უნდა მისცეს მეორე ადამიანს თავისი კვერცხი. აღდგომასაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ხვდება ეკლესიაში. მიდიან აღდგომის წინა დღეს. შაბათს ღამე მიდიან და ათევენ. კვირას დილამდე ეკლესიაში არიან.

English Translation:

I: Other than Christmas, what is one of the biggest religious celebrations in Georgia?

R: Other than Christmas, the biggest religious holiday is Easter. In general, the majority of the Georgian population is Orthodox and people place huge importance on religious life. 40 days before Easter, we start Lent and in Georgia, Lent means that you don't eat any.... You give up not only meat, but also any animal product. So, cheese, milk... You can't eat anything like that during lent. So, you pretty much become a vegan over the 40 days of Lent... The related traditions are *paska* and also.... *Paska* is a special Easter cake, which is usually about this big, but you can make them in different sizes. It's cylindrical. There are some special spices and raisins in *paska*. It really is a delicious cake. We only make it for Easter. On Red Friday¹, we dye eggs red. We have this tradition where you hold one egg and your friend or family member knocks your egg together with theirs. If your egg cracks, you lose and you have to give your egg

¹ The Friday before Easter is called "Red Friday."

to the other person. Most people greet Easter in the church². People go to church the day before Easter – on Saturday evening, and they spend the night there. They are in church until Sunday morning.

About CultureTalk: CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

© 2013 Five College Center for the Study of World Languages and Five Colleges, Incorporated

² By “greeting” Easter or any other holiday, the speaker is trying to convey that they were up at midnight for the occasion. People will often ask each other: “Where did you greet Easter?” It just means you want to know where that person was when it turned midnight.